ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

15 ივლისი, კვირა, 1990 წ.
№ 132 (10 301) ● ფასი 5 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიეტლი მოლოდინშია, თუმცა რაღა დარჩა...

კეთილი ნების მეორე თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღეღა დარჩა. 20 ივლისს სიეტლში (აშშ) საზეიმო ვითარებაში გაიხსნება თანამედროვეობის ეს ერთ-ერთი უდიდესი კომპლექსური სპორტული შეჯიბრება. თავდაპირველი ჩანაფიქრით იგი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა ამხანაგური შეხვედრა უნდა ყოფილიყო. მაგრამ პირველი თამაშებისათვის მზადების პერიოდში მას სხვა ქვეყნებიც შემოუერთდნენ და ასე გადაიქცა იგი კეთილი ნების მსოფლიო თამაშებად.

შეჯიბრებისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე (მოსკოვში) ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნიკოლაი რუსაკი, რომელმაც ბევრი ისაუბრა თამაშების მნიშვნელობაზე და აღნიშნა: რომ არ ყოფილიყო კეთილი ნების თამაშები 1986 წელს, საბჭოთა სპორტსმენები სეულის ოლიმპიადაში მონაწილეობას ალბათ არ მიიღებდნენ.

როგორი იქნება საბჭოთა დელეგაცია სიეტლში? სულ მის შემადგენლობაში შეყვანილია 650 კაცი, ამათგან 421 სპორტსმენი, 153 ოფიციალური წარმომადგენელი, 35 მსაჯი... დელეგაციაში მოხვდა 41 ოლიმპიური ჩემპიონი, 93 სპორტის დამსახურებული ოსტატი, დანარჩენი — სპორტის ოსტატი, მათ შორის არიან მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები. სიეტლში მიემგზავრებიან ყველა რესპუბლიკის სპორტსმენები გარდა თურქმენეთისა.

შეჯიბრება ჩატარდება სპორტის 21 სახეობაში (პროგრამაშია ზამთრის ორი სახეობაც — ჰოკეი და ფიგურული სრიალი) და გათამაშდება მედლების 183 კომპლექტი. ბევრ სახეობაში მოეწყობა პირდაპირ ფინალური შეხვედრები. ნ. რუსაკის აზრით პროგრამა უმთავრესად ამერიკელთა ინტერესების გათვალისწინებით არის შედგენილი. ძირითადი აქცენტი კი დასმულია სანახაობრივ სპორტზე.

კეთილი ნების თამაშებმა კარგა ხანია სპორტულის გარდა პოლიტიკური ჟღერადობაც შეიძინა. სიეტლში ელოდებიან ამერიკისა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტების მიმართვას თამაშების მონაწილეებისადმი. სპორტულ შეჯიბრებებს, საპატიო სტუმრების რანგში დაესწრებიან აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი დ. კუელი და თავდაცვის მინისტრი რ. ჩეინი. საბჭოთა კავშირიდან სიეტლში გაემგზავრებიან უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

თამაშების მასპინძლებმა საკმაოდ მრავალფეროვანი კულტურულ-სამეცნიერო პროგრამაც მოამზადეს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დიდი თეატრისა და „სოვრემენიკის“ კოლექტივებიც.

სიეტლში გაემგზავრება საბჭოთა ტურისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომელთათვისაც ამერიკელებმა მცირე სიურპრიზი მოამზადეს: სტუმრები სასტუმროებსა და პანსიონატებში კი არ იცხოვრებენ, არამედ ამერიკელთა ოჯახებში, რასაც მასპინძლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და კონტაქტების შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ.

მრავალრიცხოვანი იქნება აკრედიტებულ ჟურნალისტთა კორპუსიც. საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარემ რწმენა გამოთქვა, რომ პრესა დიდი გულისყურით, ზუსტად და დაწვრილებით გააშუქებს სპორტული ბრძოლების მიმდინარეობას. ამავე დროს აღინიშნა, რომ საბჭოთა მწვრთნელები და სპეციალისტები ყოველნაირად შეუწყობენ ხელს რეპორტიორებს მუშაობაში.

სპორტის მოყვარულებს შეიძლება გაუჩნდეთ კანონიერი შეკითხვა: როგორი იქნება კეთილი ნების თამაშების მომავალი? 1994 წელს თამაშებს, დადგენილი გეგმის მიხედვით, მოსკოვი და ლენინგრადი უმასპინძლებს. ეს კი იმას ნიშნავს რომ, ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა სპორტის, კულტურისა და მეცნიერების დარგში კვლავაც გაგრძელდება. ამ თანამშრომლობის კიდევ ერთი გამოხატვა გახლდათ ის, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები მიწვეული არიან 1991 წლის ოლიმპიურ ფესტივალზე, რომელიც ლოს-ანჯელესში მოეწყობა.

სეოკ-ის აღმასკომის სხდომა

აღმასკომის ამ სხდომაზე განიხილეს 1991 წლის სრულიად საქართველოს სპორტულ თამაშების ორგანიზაციისა და ჩატარების საკითხი. თამაშებს პირობითად ეწოდება „შევარდენიადა“. შეიქმნა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს პროგრამის შერჩევაზე, შეადგენს დებულების პროექტს, რომელიც საყოველთაო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნდება. საქართველოს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების თამაშებში. ამ უფლების განხორციელებისათვის დროულია თამაშების ორგანიზატორებთან მოლაპარაკების დაწყება. სეოკ-ის აღმასკომმა მოიწონა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში გასაგზავნი წერილის ტექსტი.

რესპუბლიკის სპორტული ფედერაციები განახლების გზას ადგანან. წინა პლანზე გამოდის სუვერენული უფლებების რეალური განხორციელება, მაგრამ, როგორც აღმასკომის სხდომაზე აღინიშნა, სპორტის ზოგიერთ სახეობებში ტარდება დამფუძნებელი კონფერენციები და ყრილობები, აცხადებენ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათი შემდგომი საქმიანობის სტრუქტურა და შინაარსი კვლავ ძველებური რჩება. სეოკ-ის აღმასკომი აცხადებს, რომ ამგვარ „სახეცვლილებას“ საერთო არაფერი აქვს საქართველოს ოლიმპიურ ინტერესებთან. სეოკ-ი აღიარებს მხოლოდ იმ ფედერაციებს, რომლებიც რეალურად მოიპოვებენ სუვერენიტეტს.

ადრე ვიუწყებოდით, რომ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბურჯანაძემ სეოკ-ის აღმასკომს ბალანსიდან ბალანსზე გადასაცემად შესთავაზა მცხეთის რაიონის სოფელ კარსნთან მშენებარე გამაჯანსაღებელი კომპლექსი. ეს ობიექტი მოინახულეს აღმასკომის წევრებმა და მოიწონეს იგი. სეოკ-ის აღმასკომმა მადლობით მიიღო შემოთავაზებული წინადადება.

სხდომაზე საუბარი იყო პარდუბიცეში „სტიპლ-ჩეიზის“ მე-100 საიუბილეო შეჯიბრებაში საქართველოს მხედრების დამოუკიდებლად მონაწილეობის თაობაზე. აღმასკომის ამ სხრომაზე განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები.

ფოთი — წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი

„მზად ვართ ვითანამშრომლოთ“...

მნიშვნელოვანი ვიზიტის მნიშვნელოვანი შედეგი

სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ახლახან საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ობრი შინა და ამ ფედერაციის წევრი, ამერიკული ფირმა „სუპრას“ ტექნიკური კომისიის დირექტორი ბობ ლარსენი.

სტუმრობის მიზანი გახლდათ ფოთში წყალთხილამურეთა ევროპის 1991 წლის ჩემპიონატის ორგანიზაციული საკითხების განხილვა, ამ მომავალი დიდი ასპარეზობის სარბიელის დათვალიერება, მასპინძელი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრა.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან ვიზიტზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. პირველ ყოვლისა, სტუმრები უნდა დარწმუნებულიყვნენ ჩვენს მოწადინებასა და შესაძლებლობებში. არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, რომ საბოლოოდ უნდა გაფანტულიყო ეჭვები, რომლებიც ცენტრის უპრინციპო ქმედობამ წარმოქმნა. წყალსათხილამურო სპორტის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა ვიზიტის შედეგს თუ შევაფასებთ, უნდა ითქვას, რომ ამ, საწყის ეტაპზე წარმატება მიღწეულია. ამის დასტურია ის წერილიც, რომელიც ობრი შინამ გამოუგზავნა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარეს ნუგზარ ენდელაძეს.

ძვირფასო, ბატონო ნუგზარ!

უპირველეს ყოვლისა, მსურს მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის. ძალიან ვწუხვარ, ამდენი დრო რომ წავართვით, მაგრამ საქართველოში გატარებულმა დღეებმა შემძინა გამოცდილება სტუმართმოყვარეობაში, რომლის დავიწყება ან ჯობნა ძალიან ძნელი იქნება.

წინ დიდი საქმეა და გისურვებთ წარმატებებს თქვენი გეგმების განხორციელებაში, გვერწმუნეთ, მზად ვართ ვითანამშრომლოთ თქვენთან ბაზის ტექნიკური მომზადებისა და შეჯიბრების რეკლამის სფეროში.

გთხოვთ, გადასცეთ მადლობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ოთარ ქვილითაიას ჩვენთან შეხვედრისათვის.

ლონდონში ჩამოსვლას თუ აპირებთ, გთხოვთ, აუცილებლად მაცნობოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენი შეხვედრა მანამდე არ მოხერხდა, მოუთმენლად გელით ჩემპიონატზე.

საუკეთესო სურვილებით,
ობრი შინა,
წყალსათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი.

იტალია-90

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

იხ. მე 2-3 გვ.

კიდევ რამდენიმე დეტალი

ლიონი. როგორც ვიუწყებოდით, მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე სსრ კავშირის რაპირისტ ვაჟთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისელი ვლადიმერ აფციაური, მესამე გუნდური ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ბრინჯაოს ჯილდო, თავისთავად, დიდი წარმატებაა, მაგრამ საბჭოთა მოფარიკავეებს ტურნირის მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ და, ამდენად, იტალიელებთან მარცხს (ანგარიშით 7:8) საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰქონდა.

დღეს საშუალება გვაქვს უფრო დეტალურად გაგაცნოთ ამ დრამატული ბრძოლის პერიპეტიები. იტალიელებთან ბრძოლა ტრადიციისამებრ ვლადიმერ აფციაურმა დაიწყო (ქართველი მოფარიკავე გუნდური შეჯიბრების დიდოსტატად ითვლება, და ტურნირის დაწყებას მუდამ მას ანდობენ. ასე იყო წინა მსოფლიო ჩემპიონატებში, ასე იყო სეულის ოლიმპიადაზე). იტალიელმა ა. ჩიპრესამ იგი დაამარც-

იხ. მე-4 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი და პირველობა მძლეოსნობაში

უფროსებზე უკეთესად

ჩვენ უკვე გაცნობეთ იმის შესახებ, რომ თბილისელმა სტაიერმა ოლეგ სტრიჟაკოვმა მესამე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა წლევანდელ ჩემპიონატში, 10 კილომეტრიან დისტანციაზე. სპეციალისტთა წინასწარი განცხადებით, ამ შეჯიბრებას (იგი კიევში ჩატარდა) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი შედეგების მიხედვით უნდა დაკომპლექტებულიყო ნაკრები გუნდი კეთილი ნების თამაშებსა და ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ.

იქნებ ამის დამსახურებაც იყო, რომ გულშემატკივრებმა ცოტა მოიბრუნეს გული „სპორტის დედოფლის“ მიმართ და კიევის ცენტრალურ სტადიონზე საკმაო რაოდენობით შეიკრიბა მაყურებელი, რაც კარგა ხანია არ მომხდარა საბჭოთა კავშირში. შეჯიბრებასაც არ აკლდა ბრძოლის სიმწვავე.

განსაკუთრებით კი სტაიერებს გაუჭირდათ: 10 კილომეტრზე რბენა 31 გრადუს სიცხეში და უკიდურესი ტენიანობის პირობებში მიმდინარეობდა. მონაწილეთა ნახევარმა — 31-მა მორბენალმა — ვერ გაუძლო ასეთ გარემოში ასპარეზობას და დისტანცია მიატოვა. სტრიჟაკოვი კი მხოლოდ ბოლო წრეში ჩამორჩა ორ ძირითად მეტოქეს.

ოლეგის გარდა საქართველოს სპორტსმენთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა სოხუმელი ბირთვის მკვრელი ტარიელ ბიწაძე (მწვრთნელი — თამაზ ჰედია), რომელმაც 7,260 კგ წონის ლითონის ბირთვი 19,41 მეტრზე ჰკრა და მეხუთე ადგილი დაიკავა. ფინალში გასვლა შეძლო ახალგაზრდა თბილისელ სპრინტერს თამარ შანიძესაც (მწვრთნელი — ავთანდილ ბერიძე), მაგრამ მას წამის ორიოდე მეასედი დააკლდა ამისათვის. თუმცა უძლიერესთა შორის მეათე ადგილზე გასვლაც წარმატებაა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თ. შანიძე თანდათან აშკარად აუმჯობესებს შედეგებს. კიევში 100 მეტრი 11,80 წამში გაირბინა, 200 მეტრი — 23,80 წამში.

კიევში ასპარეზობდა ჩვენი სამი თარჯმრბენი. თბილისელმა იგორ ივანოვმა მე-12 შედეგი აჩვენა 110 მეტრიან დისტანციაზე — 14,05. მისი თანაქალაქელი ვიაჩესლავ ვასილიევი (14,40) და რუსთაველი ევგენი პერშინი (14,60) კი უფრო უარესად გამოვიდნენ.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო ასპარეზობა ველარ დაამთავრა ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, უროსმტყორცნელმა იოსებ მავერდაშვილმა.

* * *

ამ დღეებში ჩატარდა იუნიორთა საკავშირო პირველობაც, რომელიც დაძაბულობით დიდების ჩემპიონატს არ ჩამოუვარდებოდა. მიზეზი იოლად ასახსნელია: საუკეთესოები იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლებას იღებდნენ. ამ ტურნირში საქართველოს სულ 6 მძლეოსანი ასპარეზობდა, მაგრამ მათ, როგორც ამ წერილის სათაურში აღვნიშნეთ, უფროსებზე უკეთეს შედეგებს მიაღწიეს.

სოფიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება თბილისელი ვლადიმერ მინაკოვი (მწვრთნელი — გენადი სავჩენკო), რომელიც 220 სმ სიმაღლეს გადაევლო და ერთადერთ მეტოქეს ჩამორჩა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სიმაღლის აღებას მეტი ცდა მოანდომა.

ბოლო ცდა რომ არა, ნინო ონაშვილიც (მწვრთნელი — მამია ტუღუში) დაემგზავრებოდა სოფიისაკენ მინაკოვს: იგი საუკეთესო შედეგით (56,56 მ) ყველა მეტოქეს უსწრებდა ბადროს ტყორცნაში, მაგრამ უკანასკნელ, მე-6 ცდაზე მას

უკრაინელმა სპორტსმენმა გაუსწრო (55,10 მ). პირობის თანახმად კი ნინოს ნაკრებში მოსახვედრად აუცილებლად უნდა გაემარჯვა. დასანანი შემთხვევაა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნინომ ერთი კვირის წინ ბადრო 57 მეტრზე შორს ტყორცნა.

მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების ერთ-ერთი კანდიდატი იყო წყალტუბოელი მერაბ ყურაშვილიც, მაგრამ იგი ამ გადამწყვეტ შეჯიბრებაში სუსტად გამოვიდა და მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა ბირთვის კვრაში — 16,93 მ.

შუბისმტყორცნელი ამბროსი მატიაშვილი (მწვრთნელი — რეზო კობიაშვილი) მესამე ადგილზე აღმოჩნდა (68,78 მ), მაგრამ ერთ-ერთ ცდაზე მან 72 მეტრს გადააცილა შუბი. ეს ცდა არ ჩაითვალა (ამბროსიმ სატყორცნ მიჯნას გადააბიჯა), მაგრამ საკავშირო ნაკრების მწვრთნელები მან იმდენად დააინტერესა, რომ ქართველ მძლეოსანს შეჰპირდნენ, დამატებით საცდელ შეჯიბრებას მოგიწყობთ და თუ კიდევ გამოიჩენ თავს, მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიო.

ჩვენი გუნდიდან შედარებით სუსტად გამოვიდა თბილისელი სიგრძეზე მხტომელი დიმიტრი ანტონოვი, რომელმაც მხოლოდ 7,37 მეტრი აჩვენა. სამაგიეროდ მისი თანაგუნდელი დიანა ხუბაშვილი უმცროსი ასაკის (1972 წელს დაბადებულთა) მძლეოსანთა საკავშირო ნაკრებში მოხვდა და საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობაზე“ იასპარეზებს.

სხვათა შორის, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი უკვე მესამედ ტარდება, მაგრამ დღემდე იქ საქართველოს არც ერთ სპორტსმენს არ უასპარეზია.

„ლელომ“ შეკითხვები დასვა

● „ლელოს“ უპასუხებენ

დარგობრივი საბჭოს შესაძლებლობები

საქართველოს საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა დარგობრივმა საბჭომ განიხილა გაზეთ „ლელოში“ 1990 წლის 3 ივნისს გამოქვეყნებული წერილი „ფიზიკური კულტურა და სპორტი ერის სამსახურში!“

ითქვა, რომ ფიზკულტურასა და სპორტს მშრომელების ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში ვანიჭებთ უმნიშვნელოვანეს როლს. ვცდილობთ, რომ კეთილმოვაწყოთ სპორტული ბაზები; კულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბების მეშვეობით ფართო პროპაგანდას გავუწევთ ფიზიკური კულტურის როლს მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში.

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ შრომით კოლექტივებში ჩამოყალიბდა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სტერეოტიპი, მეტწილად უსაქმურობის სტერეოტიპი. ამიტომ მუშაობა არსებითად უნდა შეიცვალოს. ფიზკულტურულ კოლექტივებს და სპორტულ კლუბებს უნდა მიეცეთ სრული თვითმმართველობა და ბოლო უნდა მოეღოს ზემოდან კარნახს.

ჩვენს დარგში მუშავდება მთელი რიგი ღონისძიებები სპორტის მუშაკთა ინტერესების დასაცავად. ასე მაგალითად, მსხვილ საწარმოებს (5 წარმოება), სადაც 300-ზე მეტი თანამშრომელია, ემსახურება 22 განთავისუფლებული სპორტული მუშაკი, რომელთაგან 18 პროფბიუჯეტზეა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩვენთან სპორტული მეთოდისტის არც ერთი საშტატო ერთეული არ შემცირებულა. პირიქით, წლების განმავლობაში ზოგიერთ საწარმოში, მაგალითად, რესპუბლიკურ ცენტრ „ავტოვაზტექმომსახურეობაში“, თბილისის საწარმოო „ავტომოტოსერვისში“ და თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანათმშენში“ არ იყო ეს შტატი. ამჟამად კი წარმოებებს 6 საშტატო ერთეული გადაეცათ. მომავალშიც საწარმოთა პერსპექტივების გათვალისწინებით ვიზრუნებთ სათანადო საშტატო ერთეულის გამოყოფაზე.

ბოლო დროს გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი ფიზკულტურული ორგანიზაციისა და სპორტული კლუბების მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებისათვის. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საერთო საცხოვრებლის პირველ სართულზე სპორტკომპლექსისათვის გამოიყო 160 კვ მ ფართობი, სადაც დაიდგა სპორტული ტრენაჟორები, რუსთავის ავტოვაზაგრეგატ „ყალიბში“. 1989 წელს ექსპლუატაციაში შევიდა საცურაო აუზის კომპლექსი. საცურაო აუზი აშენდა თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანათმშენში“; სპორტული მოედნები მოეწყო საწარმოო „ავტომოტოსერვისსა“ და რესპუბლიკურ ცენტრ „ავტოვაზში“, დამთავრდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სტადიონის რეკონსტრუქცია. ახლო მომავალში დაგეგმილია ავტოქარხნებისათვის აშენდეს თანამედროვე სპორტული კომპლექსი. „ავტომოტოსერვისის“ 7 სადგურში გაიხსნება ოთახები და კუთხეები სპორტული ტრენაჟორებისათვის.

მთლიანად პროფკავშირული წლიური შემოსავლის 735,7 ათასი მანეთიდან 1990 წელს მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის გათვალისწინებულია 194,5 ათასი მანეთი, რაც შეადგენს საერთო თანხის 26,4%-ს. მათ შორის წლიური შემოსავლის 30,5% ავტოქარხნისაა, 33,5% — ქარხანა ავტოვაზაგრეგატი „ყალიბისა“, 19,8% ქუთაისის სატრაქტორო ქარხნისა, 25,6% თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანათმშენისა“ და სხვა.

რესპუბლიკური დარგობრივი საბჭო შემდგომშიც დიდ ყურადღებას მიაქცევს მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. წლიურ ხარჯთაღრიცხვებში მაქსიმალურად გავითვალისწინებთ დარგის საწარმოების, ორგანიზაციების სპორტულ ინტერესებს; აქტიურად ვითანამშრომლებთ რესპუბლიკურ სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“.

რესპუბლიკური დარგობრივი საბჭოს სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ დამოუკიდებელი დარგობრივი საბჭო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ყველა ღონისძიებაში, რაც მიმართული იქნება საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ტრადიციების განვითარებისაკენ. საბჭო მხარს უჭერს ქართული ეროვნული სპორტის სრული სუვერენიტეტისათვის ბრძოლას, ეს საკითხები გათვალისწინებულია დარგის პროფკავშირის პირველი ყრილობის გადაწყვეტილებებში.

მ. აბასოვი,
რესპუბლიკური დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარე.

გზა იკვალება

დროა ისეთი, მომავალში შენივე თავს მოაკლებ, თუ ახლავე არ ემზადე და იმოქმედე „საგარეო ურთიერთობების“ დასამყარებლად. ამიტომ აღელვებს ეს საკითხი სპორტის ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელს, ამიტომაა ასეთი მოწადინება, დროულად გაიჩინონ პარტნიორები საზღვარგარეთ.

მათთვის ჯერ გაუკვალავ გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგეს „შევარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური წყალსათხილამურო სპორტული სკოლის თბილისის განყოფილების აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა. მაისში ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს საწვრთნელი შეკრება მოუწყვეს ფოთში, იქვე გამართულ საქართველოს საგაზაფხულო პირველობაშიც მიაღებინეს მონაწილეობა, თვე-ნახევრის შემდეგ კი თავად ეწვივნენ ახალშეძენილ მეგობრებს.

აი, რა გვიამბო ამ სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გია გოგოძემ: ქალაქ სტრაშ პოდრალსკში ჩეხეთ-სლოვაკეთის ერთ-ერთი საუკეთესო წყალსათხილამურო ბაზაა. ამ ქვეყნის წყალმოთხილამურეთა ნაკრების წევრები აქ ხშირად აწყობენ შეკრებებსა და შეჯიბრებებს. შემთხვევითი არ არის, რომ ნაკრების წევრთა ბირთვს სწორედ აქაური სპორტსმენები შეადგენენ. ჩვენი ძველი ნაცნობი, მასპინძელთა ნაკრები გუნდის წევრი ლადა ტუმაც აქაურია — მან და ხათუნა კორკელიამ შარშან ერთად იასპარეზეს საბერძნეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში და ორივემ დიდ წარმატებას მიაღწია: ხათუნა ჩემპიონი გახდა ტრამპლინიდან ხტომაში, ლადა — სამჭიდში. თბილისელი წყალმოთხილამურეები სტრაშ პოდრალსკში გამართულ საკლუბო გუნდების საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს. მასპინძლებს მიწვეული ჰყავდათ აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბულგარეთის კლუბების წარმომადგენლები. ტურნირს ამ ქვეყნების ათამდე უძლიერესი კლუბის ოცდაათი წევრი ესტუმრა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი მოსწავლეები პირველად გაემგზავრნენ უცხოეთში და პირველად იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირში, მათი გამოსვლა ურიგო შეფასებას არ იმსახურებს — გაცილებით უფროს და გამოცდილ მეტოქეებთან ბრძოლაში ეკა ბაბუნიძემ პირველი ადგილი დაიკავა სლალომში, მიხეილ შენგელია კი მეოთხე იყო ამავე დისციპლინაში.

თ. შენგელია.

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

მიმოხილვა, სპეციალისტთა მოსაზრებანი, კომენტარები...

ზუსტად ერთი თვე დასჭირდა მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გადამწყვეტ თამაშებს. ამ უდიდესი შეჯიბრების ოთხწლიანი ციკლი დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ღირსეული გამარჯვებით. პირველხარისხოვანმა, თანამედროვე ყაიდის სტაბილურმა გუნდმა კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ, მოიპოვა ოქროს თასი. ამ უნიკალური მაჩვენებლით დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები გაუტოლდნენ ბრაზილიისა და იტალიის გუნდებს, რომლებიც აგრეთვე სამ-სამჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები.

რა თქმა უნდა, ისეთი მასშტაბური მნიშვნელობის მსოფლიო პირველობაზე, როგორიც საფეხბურთო ჩემპიონატია, სამჯერ ჩემპიონობის მოპოვება უაღრესად ძნელი საქმეა. ეს მხოლოდ და მხოლოდ რჩეულთა იშვიათი ხვედრია. გერმანიას ყველა ეპოქაში ჰყავდა უმაღლესი კლასის ოსტატები — მორლოკი, რანი, ფ. ვალტერი, გრაბოვსკი, მაიერი, შუმახერი, ჰიონესი, ბეკენბაუერი, ზეელერი, გ. მიულერი და მრავალი სხვა. მსოფლიო ჩემპიონთა რიგებში ახლაც გამოდიან გამოჩენილი ფეხბურთელები: აუგენტალერი, მათეუსი, ფიოლერი, ბრემე, ბუხვალდი, კლინსმანი და სხვანი. არც შემადგენლობით და არც წმინდა საფეხბურთო კლასით ეს გუნდი არ ჩამოუვარდება გნებავთ ბრაზილიელებს, გნებავთ არგენტინელებს ან იტალიელებს, ამიტომ, მცირეოდენი დაეჭვებაც კი იმაში, რომ დასავლეთ გერმანიის გუნდმა შემთხვევით ან იღბლის წყალობით მიაღწია ასეთ სიმაღლეებს, ზედმეტად მიგვაჩნია. ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ არგენტინელებთან ფინალურ მატჩში დასავლეთ გერმანიის გუნდმა მხოლოდ საეჭვო 11-მეტრიანის წყალობით შეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ყველას თვალნათლივ გვახსოვს 8 ივლისის უკიდურესად დაძაბული ფინალური მატჩი და ეჭვიც არავის გვეპარება, რომ გერმანელებს მთელი თამაშის მანძილზე აბსოლუტური და აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მეტოქეზე, სადავო და სათუო აქ არაფერია. არგენტინელ მარადონას იმ დღეს აკლდა ისეთი პარტნიორები, როგორებიც არიან ჰიუსტი, ბატისტა, ოლარტიკოეჩეა და, რაც მთავარია, კლაუდიო კანიჯა. გარდა ამისა, თვით მარადონაც უკვე ის აღარაა, რაც ამ 4 ან 8 წლის წინ იყო. იგი ახლა 30 წლისაა, შესამჩნევად „მობერდა“ და ვეღარ ზიდა ამ ურთულესი ფინალის მთელი სიმძიმე, გერმანელები კი ამ დროს საათის აწყობილი მექანიზმივით ტემპიანად, კოლექტიურად, აგრესიულად მოქმედებდნენ და არგენტინელებმაც მათთან ბრძოლაში ვეღარაფერი გააწყეს. ასეთ დროს იტყვიან, ძალა აღმართს ხნავსო. თამაშის დამთავრების შემდეგ დიეგო მარადონა ზედ საფეხბურთო მინდორზე ცხარე ცრემლებით ტიროდა, თუმცა ვინ იცის, რა ატირებდა ამ დღეს შეუდარებელ ფეხბურთელს, პელეს ღირსეულ მემკვიდრეს: ის, რომ მექსიკელმა არბიტრმა ედგარდო კოდესალმა ფრიად პრობლემატური პენალტი დანიშნა მისი გუნდის კარში, თუ მისტიროდა საკუთარ უძლურებას, იმას, რომ 30 წლის ვეტერანს აღარც იმდენი ჯანი ჰქონდა, ახალგაზრდებს გასტოლებოდა, აღარც — შემართება, აღარც ფეხები ემორჩილებოდა ძველებურად. თამაში რომ დამთავრდა, მარადონამ მერე თქვა: „ჩემპიონატის დაწყებამდე სულ იმას ვფიქრობდი, ვინ იქნებოდა ჩვენი მთავარი მეტოქე — იტალია, გერმანია თუ ბრაზილია? გამოირკვა, რომ მთავარი მეტოქე... არბიტრი გვყოლია, სწორედ ამიტომ არ ჩამოვართვი ხელი ფიფა-ს პრეზიდენტს ჟოაო ავლანჟს და მომავალშიც აღარასოდეს გავუწვდი მას ხელს...“

დიახ, დიახ, დიეგო მარადონას მძიმე მდგომარეობა ადამიანურად გასაგებია, მაგრამ, აბა ერთი ისიც ვიკითხოთ, რომელ ხელს არ გაუწვდის არგენტინელი ფეხბურთელი საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს: იმ ხელს, რომლითაც მან ერთ მსოფლიო ჩემპიონატში ბურთი ხელით გაიტანა მეტოქის კარში, მეორეში — კი ზედ კარის ხაზიდან „გამოათრია“ აშკარა გოლი, თუ სხვა, რომელიმე „ღვთის ხელს“? რომელ ხელზეა ლაპარაკი? სხვისი შეცდომების დანახვა იოლი საქმეა, სხვის თვალში ბეწვსაც კარგად ამჩნევს კაცი...

განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი კი მართლაც რომ არ ჰგავდა ასეთი დიდი, ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების თანატოლ მეტოქეთა ფინალს. ჯერ ერთი, თვით თამაში, გნებავთ, სპორტული დონით, გნებავთ, სანახაობრივი თვალსაზრისით, სრულიად არ წააგავდა მსოფლიო ჩემპიონობის ოქროს მედლების უშუალო პრეტენდენტების თანაბარ ბრძოლას და მეორეც — გერმანელებმა ისეთ მნიშვნელოვან უპირატესობას მიაღწიეს მეტოქეზე, როგორიც იშვიათად, ერთობ იშვიათად გვხვდება ასეთი დიდი მასშტაბის მატჩებში. აქ ბრძოლა იყო, სამკვდრო-სასიცოცხლო „ბრძოლა არსებობისათვის“, ბრძოლა გადარჩენისათვის და არა ფეხბურთის თანამედროვე მიღწევათა, მისი დღევანდელი მაღალი კლასისა და სილამაზის დემონსტრაცია. არგენტინელებმა, სხვა რომ ვერაფერი შეძლეს, დაუფარავი უხეშობით, წესების აშკარა დარღვევით შეებრძოლნენ მეტოქეს და არბიტრი იძულებული გახდა მათი ორი მოთამაშე გაეძევებინა მინდვრიდან. იგივე ბედი ელოდა თვით მარადონასაც, რომელმაც დემონსტრაციულად ზურგში ხელი ჰკრა არბიტრს, მაგრამ მან ეს აპატიეს და დიეგოც გადაურჩა მინდვრიდან გაძევებას. ამიტომაც, ალბათ, უნდა დავეთანხმოთ წარსულის ცნობილ ფრანგ ფეხბურთელს ჟიუსტ ფონტენს, რომელმაც მოკლედ და კონკრეტულად თქვა: „ფინალური მატჩი არგენტინელებს რომ მოეგოთ, ეს ფეხბურთის აღსასრული იქნებოდა“.

მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩის დამთავრების შემდეგ არგენტინელთა მწვრთნელი კარლოს ბილარდო მშვიდი და აუღელვებელი გამოცხადდა პრესკონფერენციაზე, ასევე მშვიდად განაცხადა, რომ სამხრეთ ამერიკის გუნდები მუდამ წარუმატებლად თამაშობენ ევროპაში, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ბრაზილიელთა გამარჯვება 1958 წელს, ამიტომაც წაგება მას არ უკვირს. „ან რა გვაქვს დასანანი,—თქვა მან, — 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონები ვიყავით, 1990 წელს ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, განა ეს დიდი მიღწევა არ არის?“ სავსებით მართალია ეს „ფეხბურთის მელა“, მაგრამ მისი მოჩვენებითი სიმშვიდე შესაძლოა იმით ავხსნათ, რომ არგენტინის ნაკრების უფროს მწვრთნელს ყველა ვარიანტში განზრახ ჰქონდა ფეხბურთისათვის თავის ბება და სულ სხვა, გაცილე უფრო მშვიდობიან სამუშაოზე დასვლა. ახლა მას სრული უფლ აქვს ეს გააკეთოს.

ბევრი მიმომხილველი მსოფლ ჩემპიონატზე ელოდა ახალი ტა ნტების, ახალი სახელების გამო ნას. ასეთები, რა თქმა უნდა, კმარისად იყვნენ, ყველა გუ ჰყავდა ლიდერები, მაგრამ არც თი მათგანი ჯერ არ ყოფილა მასშტაბის, იმ ნიჭის, სუპერტალ ტის მოთამაშე, რომელიც შეიძლ ბა ასე პირდაპირ აიღო და ფ ხბურთის უმაღლეს ტახტზე უ ლაციოდ დააბრძანო. გარდა დი გო მარადონასი, რომელიც კვლ და კვლავ უპირველესი ვარსკვლ ვია თანამედროვე ფეხბურთის ც კიდურზე, იტალიის მსოფლიო ჩ მპიონატში თავი გამოიჩინეს იტ ლიელებმა: ბერგომიმ, სკილაჩ ბაჯომ; არგენტინელებმა — კან ჯამ, ბურუჩაგამ; გერმანელებმა - მათეუსმა, ფიოლერმა; ინგლისელ ბმა — გესკოინმა, ლინეკერმა, შ ლტონმა; კამერუნელმა მილამ, რუ მინელმა ჰაჯმა და სხვებმაც, მაგრა ესენი ყველანი ასაკოვანი ფეხბ რთელები არიან, მათ ყველაფერ უკვე ზურგსუკან აქვთ, ხოლო პერ სპექტივაში — ბევრი არაფერ რამდენადმე მაინც დასამახსოვრ ბელი ახალგაზრდა ტალანტები იტალიაში ნაკლებად იყვნენ.

ასე მკაცრად, კრიტიკულად ვ დგებით განვლილ ჩემპიონატს ჩვ — გულშემატკივრები და მაყუ რებლები, ასე ფიქრობენ ცნობილ ექსპერტებიც, მაგრამ სწორედ ა დროს უცხოეთის პროფესიულ კლუბების სელექციონერები დ საგანგებო აგენტები გაფაციცები ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდებ ბევრმა მათგანმა მიიჩნია, რომ ხოსლოვაკიელი სკუხრავი, ესპა ლი ვასკესი, რუმინელი ლეკატუშ იუგოსლავიელი სტოიკოვიჩი, რამდ ნიმე ბრაზილიელი მოთამაშე დ სხვებიც, სწორედ ის ფეხბურთელე ბი არიან, რომლებიც პერსპექტიულ ტალანტებს მიეკუთვნებიან და დღ თუ არა ხვალ თავიანთ ავტორიტე ტულ სიტყვას იტყვიან მსოფლიო ასპარეზზე. რად ღირს თუნდაც ის, რომ ინგლისელი გესკოინის ფ სმა საერთაშორისო საფეხბურთო ბაზარზე ახლა 6 მილიონ გირვანქ სტერლინგამდე აიწია, 3 მილიონა შეფასდნენ რაიტი, უოლკერი, ლინეკერი და ა. შ. ეტყობა, ფეხბურთში ყველას თავისი საზრუნავ აქვს, ყველა თავისი სამრეკლოდან უყურებს ამ თამაშს.

განვლილ ჩემპიონატზე თავისი შეხედულება გამოთქვა წარსულის განთქმულმა იტალიელმა ფეხბურთე ლმა სანდრო მაცოლამ.

-- ტექნიკურმა, ლამაზმა, რომანტიკულმა ფეხბურთმა საერთაშორისო ასპარეზზე თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად დათმო, სამაგიეროდ, უზომოდ გაიზარდა ფიზიკური მომზადების როლი. ახალ ტაქტიკურ სქემებსა და ვარიანტებს ნაკლებად ეძებენ, ვინაიდან ჰოლანდიელთა მიერ შემუშავებულ ტოტალურ ფეხბურთში საკმარისია [illegible] წუთი დაუღალავად ირბინო და შეუპოვრად იბრძოლო, მოასწრო პარტნიორებთან ურთიერთმოქმედება თავდასხმაშიც და დაცვაშიც და უკვე ფეხბურთელი ხარ. როცა საჯარიმო მოედანზე ერთბაშად ხუთი-შვიდი მცველი იყრის თავს, იქ ძნელია თუნდაც წამით მოჰკრა თვალი მოწინააღმდეგის მეკარეს და გაარჩიო რომელ კუთხეში ჯობია

დარტყმა. ამ ჩემპიონატზე გამოცდილებამ აჯობა ფანტაზიას. ძალიან მიყვარს ბრწყინვალე ფეხბურთელის, ნამდვილი ვირტუოზის ცქერა, იტალიის ჩემპიონატზე კი ასეთი თითქმის ვერავინ ვნახე, თუმცა, საინტერესო ამბები არ გამომპარვია. როცა ფეხბურთში ფანტაზია ამოიწურება და საქმე მარტოოდენ ძალაზე მიდგება, იქ საქმე კარგად ვერ არის. განა უდიდესი ფანტაზიორები არ იყვნენ პელე, დი სტეფანო, ბობი ჩარლტონი, გერსონი, ამარილდო, მარადონა და სხვანი? დიდ ფეხბურთს სწორედ ისინი ქმნიან, შეგირდები და ეპიგონები კი მხოლოდ კონკრეტული მატჩების წამიერ სიძნელეებს თუ ართმევენ თავს...

კვლავ და კვლავ ლაპარაკობენ უხეშობაზე, მსაჯთა შეცდომებზე. მართლაც, ყველაზე უფრო მწვავედ და პრინციპულად საერთაშორისო ფეხბურთში ახლა მსაჯობის საკითხი დგას. მრავალი სპეციალისტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არბიტრის მყისეულ გადაწყვეტილებაში მუდამ იყო, არის და იქნება ხარვეზები, შეცდომები, ამიტომაც საჭიროა რაღაც ახალი გზები გამოინახოს საიმისოდ, რომ არბიტრაჟი ნორმალურად წარიმართოს. აქ მარტო ის კი არაა მხედველობაში, ჩათვალა თუ არა მსაჯმა გოლი, ან აღნიშნა თუ არა 11-მეტრიანი. არა, ლაპარაკია თამაშის არსის სწორ გაგებაზე, ფეხბურთელის ქმედების სწორ შეფასებაზე, წესების ერთიან ინტერპრეტაციაზე. ერთი და იმავე საქციელისთვის ერთ ფეხბურთელს მინდვრიდან აძევებენ, მეორეს კი ყვითელ ბარათსაც არ აჩვენებენ. ასევეა პენალტების დანიშვნის დროსაც. ეს აიხსნება მხოლოდ მსაჯის კონიუნქტურული მდგომარეობით, სათამაშო სიტუაციათა სწრაფი მონაცვლეობით, სხვაგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. მსაჯთა შეცდომები ვინმეს რომ გადაეღო, ერთად შეეკრიბა და ერთ ფილმად ჩამოეყალიბებინა, მას, ალბათ, სახელად დაარქმევდა... „როგორ არ უნდა მსაჯობა!“

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი თავისი წმინდა სპორტული ღირსებებით, თამაშის ხარისხით, საერთო კლასით, სანახაობრიობით, არ იდგა თანამედროვეობის სიმაღლეზე. XIV ჩემპიონატმა დასაბამი ვერ მისცა ახალ საფეხბურთო იდეებს, ახალ სისტემებს, ახალ გზებს. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ვერ ვიხილეთ რაიმე ახალი, ნოვატორული საფეხბურთო მიმართულებანი, თვით თამაშის პროცესშიც არ ყოფილა რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი ტაქტიკური ნიუანსები, მოულოდნელობანი, რომლებზეც ეღირებოდა ლაპარაკი. იყო შეტაკებები, შეუპოვარი, ულმობელი ბრძოლა, ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა დიდი შეუპოვრობა გამოავლინეს, შესაძლოა, ზოგიერთი თამაში ძალზე საინტერესოც იყო, მაგრამ ყველაფერი ეს ეხებოდა უშუალოდ მიმდინარე ჩემპიონატს, უშუალოდ კონკრეტულ მატჩებს, აი „სახვალიო სიტყვა“ კი იტალიაში ვერ თქვა ვერავინ — ვერც ერთმა გუნდმა, ვერც ერთმა მოთამაშემ. ეტყობა, თანამედროვე ფეხბურთის „მატარებელი“ სადღაც, რომელიღაც სადგურზე შეჩერდა, მას ესაჭიროება ახალი ძალები ამ წერტილიდან დასაძრავად, ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ სსრ კავშირის ნაკრებზე, უფრო სწორად, მოვიყვანოთ ჩვენი ცენტრალური პრესის მოსაზრებანი საბჭოთა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე.

გაზეთმა „პრავდამ“ აღნიშნა, რომ ჩვენში წლიდან წლამდე ლაპარაკია საბჭოთა ფეხბურთის ნაკლოვან მხარეებზე, ხარვეზებზე, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ნორჩ და ჭაბუკ ფეხბურთელებს არც ხეირიანი ბურთები აქვთ სათამაშოდ, არც ფორმა, არც მწვანე მინდვრები და თუ ბავშვი იმთავითვე არ მიეჩვია გამართულ ინვენტარს, იგი შემდგომშიც კვლავ და კვლავ პრიმიტიულ დონეზე გაიყინება. როგორ არ უნდა გავიხსენოთ, რომ იტალიის 12 ქალაქის სტადიონებზე პირველხარისხოვანი, საუცხოო სათამაშო მინდვრები მოამზადეს, ჩვენ კი, ერთი, თუნდაც ერთადერთი ნორმალური სათამაშო მინდორი არ გაგვაჩნია მთელი კავშირის მასშტაბით, მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზეც კი. იტალიის ნებისმიერ ქალაქში, რომია ეს თუ ნეაპოლი, გენუა თუ ბარი, მაღაზიაში შეხვიდოდი და სრულიად თავისუფლად იყიდდი ზუსტად ისეთივე ბუცებს, ბურთებსა და სპორტულ ფორმას, რომლითაც მარადონა ან ლინეკერი გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე. ჩვენთან კი სსრ კავშირის ოსტატთა კატეგორიის ფეხბურთელებსაც არა აქვთ საშუალება წესიერი ფორმა შეიძინონ. პრობლემები, პრობლემები, გადაუჭრელი პრობლემები — აი, ასეთია ჩვენი ფეხბურთის რეალობა. რაც შეეხება საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის, იგი ვერ შეელია ძველ, ასაკოვან ფეხბურთელებს, კვლავ მოუხმო მათ ნაკრებში, მაგრამ, ეტყობა, ძველმა თაობამ ვეღარ გაუძლო დიდ დატვირთვებს, ვერ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა მეტოქეებს. ეს ის გუნდი აღარ იყო, რომელმაც წარმატებით ითამაშა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატში. ვ. ლობანოვსკი კიევის „დინამოს“ მწვრთნელიც იყო და სსრ კავშირის ნაკრებისაც, მის თვალწინ ერთი და იგივე ფეხბურთელები „ბზუობდნენ“, მწვრთნელმა თავი ვერ დააღწია ამ თავისებურ „შეკრულ წრეს“, ახალი სისხლი ვერ გადაუსხა ძველ ორგანიზმს, „არქაულმა გუნდმა“ კი ვერ გაამართლა.

„იზვესტიაში“ დაიბეჭდა ინტერვიუ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარესთან ვ. კოლოსკოვთან. მან აღიარა, რომ საბჭოთა ნაკრებმა სრული ფიასკო განიცადა იტალიაში, მაგრამ თავმჯდომარემ თვითკრიტიკას ნაკლები ადგილი დაუთმო, ფედერაციისა თუ საკუთარ შეცდომებზე ნაკლებად მიუთითა და მიაჩნია, რომ უმთავრესი პასუხისმგებლობა ამ ჩავარდნაზე ნაკრების ხელმძღვანელობას ეკისრება.

მაგრამ ერთმანეთის გადაბრალება და სხვათა შეცდომების ძიება საქმეს არ შველის. ცხადია, საბჭოთა ფეხბურთი ახლა მეორეხარისხოვან როლს ასრულებს მსოფლიოში, იგი უიმედოდ ჩამორჩა. ეს ნათლად დადასტურდა განვლილ ჩემპიონატში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი კაცი...

როდესაც ვინმეს ვესაუბრები, უნდა მჯეროდეს მისი, სხვანაირად საუბარი ვერ აეწყობა. თენგიზ სულაქველიძე ის კაცია, სამართლიანობით რომ გამოირჩეოდა ყოველთვის და ამიტომ მასთან დიალოგი არასდროს გამჭირვებია. თუმცა მისი მეუღლე, ქალბატონი მადონა, რომელიც ხშირად ესწრება საუბარს, გადაუჩურჩულებს ხოლმე, „მაგას რომ ამბობ, არ გეშინია?“ ან „მაგას რა მოჰყვება“, მაგრამ თენგიზი არასდროს იხევს უკან, მართალი გზით იცხოვრა და იმიტომ. ალბათ, ამიტომაც, სწორედ ამ სიმართლის გამო, ხშირად დაჩაგრულა.

● თენგიზ, 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ვერ მიიღეთ მონაწილეობა. არადა, რამდენადაც მახსოვს, კარგ ფორმაში იყავით. რა იყო მიზეზი თქვენი მექსიკაში წაუსვლელობისა?

— ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო მომენტი. დანიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის წინ ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს მალოფეევს ჩემთვის არავითარი დავალება არ მოუცია. მატჩი ვითამაშე ისევე, როგორც სხვა. მოვემზადე კეთილსინდისიერად და მინდორზეც თავი არ დამიზოგავს. შეხვედრა წავაგეთ. მალოფეევმა მარცხი მე დამაბრალა, თითქოსდა მე მქონდა დავალებული, რომ პერსონალურად უნდა ამეყვანა ლარსენი. ამის შესახებ იმ კრებაზე გავიგე, თამაშის შემდეგ იაკუშინმა რომ ჩაატარა. მკითხეს, თუ რა დავალება მომცა მწვრთნელმა და რატომ არ შევასრულე მისი მითითება. ავღნიშნე, რომ არავითარი დავალება არ მქონია, მატჩს კი სრული მზადყოფნით შევხვდი და ვფიქრობ, ურიგოდაც არ ვითამაშე. აი, მაშინ გავიგე, რომ მალოფეევს მარცხის მიზეზად მე დავუსახელებივარ. მან სიმართლე ვერ აიტანა და ერთი წლით გამოვეთხოვე ნაკრებს, რომელსაც შემდეგ ისევ ლობანოვსკი ჩაუდგა სათავეში, მაგრამ განაცხადი უკვე გაგზავნილი იყო და ყველანაირი ცდა უშედეგო აღმოჩნდებოდა. ახლა, როცა წლები და გამოცდილებაც შემემატა, ვუფიქრდები და ჩემს თავს ვეკითხები: რას ჯიუტობდი, თენგო, დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი.

● 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატს როგორ გაიხსენებთ?

— ყველაზე მწარე, რაც ამ მსოფლიო ჩემპიონატში დამამახსოვრდა, ბრაზილიასთან თამაში იყო, რომლის შედეგიც მსაჯის სინდისზეა. ისე, პოლონეთისთვის რომ მოგვეგო, შანსი გვქონდა ოთხეულში მოვხვედრილიყავით. მაგრამ ჭირმა თავი ვერ დამალაო, ხომ გაგიგონიათ, სხვა ქვეყნის გუნდები როცა დღესა და ღამეს ასწორებდნენ, ჩვენმა ნაკრებმა ესპანეთის საგზური მოიპოვა თუ არა, „ღრმა ძილს“ მიეცა და ესპანეთში გამოიღვიძა მხოლოდ.

● დღეს, ალბათ, თითოეული ჩვენგანი ყველაფერს დათმობდა, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე აღმოჩენილიყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობით ჟურნალისტებიც „დავისაჯეთ“. ბევრჯერ შეხვედრილხართ უცხოელ ჟურნალისტებს, ხომ არ იცით, როგორ ხდება მივლინება ასეთ დიდ ტურნირებზე?

— ეჰ, ბევრი მოგინდომებიათ, მათ რომ ეტოლებით. თქვენი ხელფასისოდენა ფულს ისინი მზესუმზირასა და ნაყინში ხარჯავენ. რაც მეტ ინფორმაციას მოიპოვებენ, ანაზღაურება მით უფრო მეტი აქვთ. პოლიტიკა და პროფესიონალიზმი იქ ძალიან შორსაა ერთმანეთისაგან. ყველა თავის საქმეს აკეთებს. ვისაც სურვილი აქვს ყველა მოხვდება ასეთ დიდ ღონისძიებაზე, რა თქმა უნდა, თანხაც საჭიროა ამისათვის. ჩვენთან კი... ქართველ ფეხბურთელს უფლება არ ჰქონდა საზღვარგარეთის კლუბთან კონტრაქტის გაფორმებისა, თუ „ცენტრს“ არ დაეკითხებოდა. „დაკითხვის“ მიზანი კი ის არის, რაც შეიძლება მეტი დოლარი მიიხვეჭოს. მე და რამაზი პირველები ვიყავით, ვინც „ცენტრი“ „გააცურა“. საკითხს გადავუხვიე, მაგრამ განა მარტო ქართველი ჟურნალისტები დაისაჯნენ? ვინ იყო იტალიაში? თუ უსმენდით საბჭოთა კომენტატორებს? როგორ მტკიცედ იცავდნენ საბჭოთა იდეოლოგიას ფეხბურთის რეპორტაჟებში. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

● ხშირად თქვენზე საუბრისას იმ მომენტს იხსენებენ, ტაშის გამო მინდვრიდან რომ გაგაძევეს...

— „არარატთან“ თამაშისას. აი, კიდევ ერთი მაგალითი, მართალი კაცი რომ ჩვენში ხშირად იჩაგრება. მაგრამ სამართალმა პური მაინც ჭამა. ის შეხვედრა სტუმრად დიდი ანგარიშით — 4:1 მოვიგეთ და მიროსლავ სტუპარსაც პირში ჩალა გამოვავლეთ.

● საკავშირო ჩემპიონატი წარსულს ჩაბარდა თავისი სიხარულითაც და უსიამოვნებით. უსიამოვნო კი, ალბათ, უფრო მეტი იყო. ერთ-ერთ მათგანს „ჩაწყობილი“ თამაშები წარმოადგენდა. ასეთ შეხვედრებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— რა თქმა უნდა, მითამაშია: მაშინ ბევრსაც ვიფიცებოდით, მაგრამ... ეს ხომ ფეხბურთის დაცინვა და აბუჩად აგდება იყო, რასაც ძალიან განვიცდიდი — 90 წუთის განმავლობაში. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, მთავარი იყო ეს დრო გასულიყო. აქვე მინდა ვთხოვო ქართული ფეხბურთის მესვეურებს, ნუ გასვრიან ეროვნულ ჩემპიონატს ამ სიბინძურეში. მჯერა მათი, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრ მათგანს ბურთთან კონტაქტი ჰქონია და ესმის მისი. თუ „ჩაწყობილმა“ თამაშებმა ფეხი მოიკიდა, ქართული ფეხბურთის მზე სამუდამოდ ჩაესვენება. დისციპლინაც მოიკოჭლებს, რაზეც სადისციპლინო კომისიის ყოველი სხდომა მეტყველებს.

● რას უსურვებთ ქართული ფეხბურთის მომავალს, მათ, ვინც ქმნის ეროვნული ფეხბურთის ისტორიას?

— საქმის მიმართ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. რადგან ეროვნული საქმე გაკეთდა, ყველანი მისი დროშის ქვეშ უნდა გავერთიანდეთ. განა არ სჯობია, რომ ათასობით კილომეტრზე აღარ დაფრინავენ, უმეტეს დროს ოჯახში არიან, ხელფასი და ანაზღაურება მეტი აქვთ, ვიდრე ჩვენ გვქონდა. ბურთი კი ისეთია, ერთხელ თუ შეგაყვარა თავი, სიკვდილამდე გიერთგულებს და გაიძულებს შენც უერთგულო. ითამაშეთ და გწამდეთ, რომ დღეს თქვენ ეროვნული მოძრაობის ლაშქრის წევრები ხართ და პირნათლად უნდა ატაროთ ეს სახელი. ღმერთმა ქნას, ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს სამფეროვანი დროშაც აფრიალდეს.

ესაუბრა
ინგა ჩახვაშვილი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჰოლანდიის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „აიაქსი“ 2 მილიონი გულდენით (ეს დაახლოებით 1 მილიონ დოლარს უდრის) დააჯარიმეს იმის გამო, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სახელმწიფოს საბეგარო სამსახურს დაუმალა რეალური შემოსავლის რაოდენობა, „აიაქსის“ ყოფილ პრეზიდენტს ტომ ჰარმსენს კი პირობითად 6 თვის საპყრობილე მიუსაჯეს.

სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ 1978-დან 1982 წლამდე სახელმწიფოს გადაუმალა დაახლოებით 5 მილიონი გულდენი. ამავე დროს სასამართლომ გაამართლა დანიელი ფეხბურთელი სორენ ლერბიუ იმის გამო, რომ ვერ დაუმტკიცა ბრალდებით წაყენებული პუნქტები. კერძოდ ის, რომ ს. ლერბიუმ ჰოლანდიის კლუბიდან მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლის საფასურად მიიღო ქრთამი 1 მილიონი გულდენის ოდენობით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა შესაძლოა უარი თქვას 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მონაწილეობაზე, რის თაობაზეც განცხადება გააკეთა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ. უარი დაკავშირებულია იმასთან, რომ გერმანიის ორი სახელმწიფო გაერთიანების პერსპექტივის წინაშე იმყოფება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები ევროპის ჩემპიონატის მე-5 შესარჩევ ჯგუფში არიან გაერთიანებული, მათი პირველი შეხვედრა დანიშნული იყო 21 ნოემბრისთვის. გდრ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰანს-გეორგ მოლდენჰაუერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ორი გერმანული გუნდის გამოსვლამ ევროპის ჩემპიონატში შესაძლოა „სერიოზული პრობლემები წამოჭრას, ამიტომაც ეს მატჩი არ უნდა შედგეს“.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანტონიო გავამ გამოაცხადა, რომ 1990 წლის ჩემპიონატის უხიფათობის უზრუნველყოფა იტალიას 66 მილიონი დოლარი დაუჯდა.

განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის 52 მატჩს იტალიის 12 ქალაქში 2,5 მილიონი მაყურებელი დაესწრო, ტრიბუნებზე არ მომხდარა არც ერთი სერიოზული ინციდენტი, მაგრამ უწესრიგობის შემთხვევები იყო სტადიონების ტერიტორიის გარეთ ხულიგნებსა და პოლიციელებს შორის. 102 კაცი დაიჭრა, მათგან დაახლოებით ნახევარი წესრიგის დამცველია. განვლილი ერთი თვის განმავლობაში წესრიგის დამრღვევი 384 გულშემატკივარი გააძევეს იტალიიდან, 284-ს კი სასამართლომ სხვადასხვა ვადით პატიმრობა და ჯარიმის გადახდა მიუსაჯა.

სსრ კავშირის პირველობა

ამ დღეებში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობათა მორიგი შეხვედრები.

უმაღლესი ლიგა

განახლდა საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. მორიგი, მე-14 ტურის შედეგები ასეთია: „პამირი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0, ცსკა — „ჩერნომორეცი“ 2:0, „სპარტაკი“— „ტორპედო“ 2:0, „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მინსკი) 3:0, „მეტალისტი“ — „როტორი“ 3:0.

I ლიგა

„ლოკომოტივი“ (გორკი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:3, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:0, „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ტირასი“ (ტირასპოლი) 1:0, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) 2:2.

კიდევ რამდენიმე დეტალი

(დასასრული)

ზა ანგარიშით 5:1, ა. რომანკოვი და ფ. ჩერვი: ისევ იტალიელის უპირატესობა — 5:2. ბ. კორეცკი — ა. ბორელა 5:1. იტალიელები საგრძნობლად დაწინაურდნენ. დ. შევჩენკო და ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი ა. პუჩინი: გამარჯვება ამჯერადაც იტალიელს რჩება — 5:2. პირველ წრეში საბჭოთა მოფარიკავეებმა ვერც ერთი ბრძოლა ვერ მოიგეს — 0:4.

მეორე წრეში მდგომარეობა ოდნავ გამოკეთდა — 1:3, მაგრამ საერთო ანგარიშმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია 1:7.

მესამე წრე. აფციაური უგებს პუჩინის, შევჩენკო — ჩიპრესას, რომანკოვი — ბორელას. კორეცკი ისევ აგებს, ამჯერად ჩერვისთან. მესამე წრეს საბჭოთა სპორტსმენები იგებენ 3:1, მაგრამ მატჩის შედეგი 4:8 გახდა.

მეოთხე წრეში იყო მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, ოღონდ საბჭოთა მოფარიკავეებს ოთხივე ბრძოლა უნდა მოეგოთ, თანაც მინიმალური ჩხვლეტა მიეღოთ. პირველ ბრძოლაში — გამარჯვება, მეორეშიც, მესამეშიც, მაგრამ საბჭოთა ნაკრებს იმდენი ჩხვლეტა დაუგროვდა, რომ მეოთხე ბრძოლის ჩატარებას აზრი აღარ ჰქონდა. აფციაურს რომც დაემარცხებია ჩერვი, ანგარიში თანაბარი (8:8) გახდებოდა, ჩხვლეტებში კი საქმე ძალზე ცუდად გვქონდა. ამიტომ აფციაური სარბიელზე აღარ გასულა და გუნდმაც წააგო შეხვედრა ანგარიშით 7:8.

მესამე ადგილისათვის ბრძოლა საბჭოთა ნაკრებმა კარგად ჩაატარა და დასავლეთგერმანიის გუნდს აჯობა.

◆ ◆ ◆

„რალი აკროპოლისი“ — „ევროპული საფარი“

საბერძნეთში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის მე-5 ეტაპი ავტორალიში. გათამაშდა 37-ე „რალი აკროპოლისი“. ეკიპაჟებს უნდა გაევლოთ 2034,26 კმ-იანი მანძილი სისწრაფის 48 მონაკვეთით.

რბოლის პირველ დღეს მიქაელ ერიკსონისა და კლაუს ბილსტამის („ტოიოტა“) დუეტმა ყველაზე სწრაფად გაიარა პირველი 139,120 კმ. მათ სულ 4 წამით ჩამორჩნენ კარლოს საინცი და ლუის მოია (ესპანეთი, „ტოიოტა“), 9 წამით — კენეტ ერიკსონი და სტეფან პარმანდერი (შვეცია, „მიცუბიში-გალანტი“). მეოთხე-მეექვსე ადგილები დაიკავეს „ლანჩა-მარტინის“ ეკიპაჟებმა: დიდიე ორიოლი-ბერნარ ოჩელი (საფრანგეთი), მასიმო ბიასიონი — ტიციანო სივიერო, იუჰა კანკუნენი — იუჰა პიირონენი (ფინეთი).

მეორე დღეს ლიდერობა უკვე ხელთ იგდო კარლო საინცისა და ლუის მოიას ეკიპაჟმა და მომდევნო დღეებში ეს პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცეს.

„ლანჩა-მარტინის“ მრბოლები შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ბედი არ სწყალობდათ, თითქოს ყველაფერი მათ წინააღმდეგ იყო, თვით ტრასაც, რომელსაც შემდეგ დიდიე ორიოლმა „ევროპული საფარი“ უწოდა.

მესამე დღეს საინც-მოიას („ტოიოტა“) ორი წამით ჩამორჩებოდა კანკუნენ-პიირონენი („ლანჩა“), 28 წამით — კ. ერიკსონ-პარმანდერი („მიცუბიში“), 30 წამით — ბიასიონ-სივიერო („ლანჩა“), 45 წამით — ორიოლ-ოჩელი („ლანჩა“).

6 დღეში 189,860 კმ პილოტებმა ასეთი თანმიმდევრობით გაიარეს:

1. კარლოს საინცი — ლუის მოია (ესპანეთი, „ტოიოტა“); 2. იუჰა კანკუნენი — იუჰა პიირონენი (ფინეთი, „ლანჩა“); 3. მასიმო ბიასიონი — ტიციანო სივიერო (იტალია, „ლანჩა“); 4. მიქაელ ერიკსონი — კლაუს ბილსტამი (შვეცია, „ტოიოტა“); 5. დიდიე ორიოლი—ბერნარ ოჩელი (საფრანგეთი, „ლანჩა“).

რბოლის ბოლო დღეს „ლანჩა მარტინის“ ფინურმა ეკიპაჟმა სიჩქარეს უმატა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ „ტოიოტას“ ესპანურ დუეტს ვეღარ დაეწეოდა, უფრო თავისუფლად გაიარა ბოლო 676 კილომეტრი სისწრაფის 13 მონაკვეთით.

კარლოს საინცისა და ლუის მოიას ეკიპაჟმა მთელი დისტანცია დაფარა 7 საათში, 34 წუთსა და 44 წამში და წლევანდელ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

საბოლოო შედეგები:

1. საინცი — მოია (ესპანეთი, „ტოიოტა“) — 7 საათი, 34 წუთი, 44 წამი; 2. კანკუნენი — პიირონენი (ფინეთი, „ლანჩა“) —ჩამორჩა 86 წამით; 3. ბიასიონი — სივიერო (იტალია, „ლანჩა“) — 2 წუთით და 98 წამით; 4. მ. ერიკსონი — ბილსტამი (შვეცია, „ტოიოტა“) — 4 წუთით და 96 წამით.

მდგომარეობა 5 ეტაპის შემდეგ:

1. საინცი — 60; 2. ორიოლი —55; 3. ბიასიონი — 44; 4. კანკუნენი — 42, 5. მიქაელ ერიკსონი — 26.

1. „ლანჩა“ — 94, 2. „ტოიოტა“ — 74, 3. „სუბარუ“ — 19,4. „ბეემ-ვე“ — 14.

ჩემპიონატის მეექვსე ეტაპი ახალ ზელანდიაში გაიმართება.

დავით ჩუბინიძე.

◆ ◆ ◆

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

იან კოდეში

უიმბლდონის ჩემპიონი იან კოდეში დაიბადა 1946 წლის 1 მარტს ოჯახში, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპორტთან. მისი მამა უკვე 12 წლის ასაკში გახლდათ საზოგადოება „ჩეხიე კარლინის“ წევრი და გატაცებული იყო ველოსპორტით, ძალოსნობით, ბალახის ჰოკეითა და ჩოგბურთით, ხოლო მოგვიანებით ავტორბოლის ფიგურული ტარებით. იგი იყო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი. იანის დედა ბავშვობიდან თამაშობდა ჩოგბურთს, ბიჭს 9 წელი რომ შეუსრულდა მშობლებმა იგი მიიყვანეს კარლინის „დუკაში“. ბავშვს ერთნაირად იტაცებდა ჩოგბურთი და ფეხბურთი. ფეხბურთში ამ კლუბის ღირსებას იანი იცავდა მნიშვნელოვან იუნიორთა შეჯიბრებებზე, ითვლებოდა მარცხენა გარემარბად და შუა ხაზის მოთამაშედ. საკმაოდ კარგად ურტყამდა მარცხენათი. ჩოგბურთს კი 1957 წელს ეზიარა, როდესაც დატოვა კარლინი და გადავიდა შტვანიცკის „მოტორლეტში“. აქ მას საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა იავორსკის და კორდას, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების წევრების თამაშისათვის (11 წლის იანი ბურთებს აწვდიდა სახელოვან სპორტსმენებს). ესწრებოდა რა პრესტიჟულ საერთაშორისო შეჯიბრებებს, გულდასმით ითვისებდა დარტყმის ტექნიკასა და თამაშის ტაქტიკას. კოდეშის მწვრთნელი გახდა გამოცდილი დამრიგებელი კარელ სემრადი, რომელიც 1968 წელს გარდაიცვალა. იგი ნიჭიერ შეგირდს სხვადასხვა ტექნიკურ ილეთთან ერთად აცნობდა მოჭრილი დარტყმის საიდუმლოს, რომელიც შემდგომში კოდეშის მრისხანე იარაღად იქცა. იმ ხანად იგი ხშირად ეთამაშებოდა მამასა და დას — ვლასტას. საბოლოოდ კოდეში ჩოგბურთს დაუკავშირდა 1960 წელს, მას მერე, რაც გაიმარჯვა რესპუბლიკის მოსწავლეთა შეჯიბრებაზე. იმ დროიდან დაიწყო რეგულარული წვრთნა და 2 წლის შემდეგ გავიდა პარდუბიცის იუნიორთა პირველობის ფინალში. ერთი წლის შემდეგ, კვლავ ამ ტურნირის ფინალში მიიღო მონაწილეობა და მისი გვარი პირველად გამოჩნდა ნაკრების სიაში, რომელიც ემზადებოდა გალეის თასისთვის საბრძოლველად. 1964 წელს არც ერთ იუნიორს აღარ შეეძლო წინ აღდგომოდა მას და ნათელი გახდა, რომ იზრდებოდა დიდი ტალანტი. თამაშის შემტევი სტილის, დახვეწილი ტექნიკისა და მკვეთრად გამოხატული მებრძოლი ხასიათის წყალობით მას იმედისმომცემ ჩოგბურთელად მიიჩნევდნენ. 1965-66 წლებში ჩეხოსლოვაკიის გუნდმა ორჯერ მოიგო გალეის თასი, რაშიც დიდი დამსახურება ნიჭიერ ჩოგბურთელს მიუძღვოდა.

21 წლის კოდეში ქვეყნის №1 ჩოგბურთელი გახდა, 1967 წელს, ოსტრავის ტურნირის პირველი პრიზის მოპოვების შემდეგ, მისი აღზევების ხანა დაიწყო. დიდი წარმატება უკვე მომდევნო წელს მოვიდა, როდესაც უიმბლდონის გამარჯვებული სანტანა, ნახევარფინალისტი პილიჩი და ამერიკელი სმიტი დაამარცხა. იგი ამ პერიოდში უკვე ფლობდა ურთულესი დარტყმების მთელ სერიალს. მის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა მოჭრილი დარტყმა მარცხნიდან და სწრაფი გადაადგილება კორტზე. მაგრამ სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით კოდეში მარათონულ ტურნირებში ვერ მიაღწევდა შედეგებს.

1968 წელი არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებების პერიოდად, მაგრამ მომდევნო წლებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა მას მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ჩოგბურთელის სახელი მოუტანა. 1969 წელს იგი გავიდა იტალიის ღია პირველობის ნახევარფინალში. სადაც 5 პარტიაში დათმო ორთაბრძოლა ნიუკომბთან. საფრანგეთის ღია პირველობის მესამე წრეში იგი კვლავ შეხვდა ნიუკომბს. გადამწყვეტ პარტიაში წინაც იყო 4:1, შემდეგ 5:2, მაგრამ მაინც დამარცხდა, ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონის ტიტული კი კვლავ მოიპოვა. 1970 წელს რომში ოთხ პარტიაში სძლია რუმინელ ნასტასეს. იმავე წელს, პარიზში, ფინალში სძლია დრანულოვიჩს, ხოლო ჰამბურგში ნახევარფინალამდე მივიდა. „გრან-პრის“ ტურნირში წარმატებებმა საშუალება მისცა მოხვედრილიყო რვა უძლიერესთა შორის, მონაწილეობა მიეღო ტოკიოს „ოსტატთა ტურნირში“, მსოფლიო კლასიფიკაციაში კი მეცხრე ადგილზე გავიდა, ევროპაში მეორე იყო ნასტასეს შემდეგ. 1971 წელს კოდეშმა მოიგო „გრან-პრის“ ტურნირი რომში, სადაც დაამარცხა მთელი რიგი გამოჩენილი ოსტატები: სტოლი, როჩი, ნიუკომბი და ოკერი. ფინალში კი წააგო იმ დროის საუკეთესო ჩოგბურთელთან პროფესიონალებს შორის როდ ლეივერთან (5:7, 3:6, 3:6). კოდეში კვლავ გახდა საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებული, გადამწყვეტ მატჩში სძლია რა ნასტასეს (8:6, 6:2, 2:6, 7:5), ჰამბურგში იგი კვლავ გავიდა ნახევარფინალში, ხოლო ბრატისლავში ისევ პირველი იყო. ნამდვილი სენსაცია მოახდინა მისმა თამაშმა ფორესჰილის კორტებზე. უკვე საწყის ეტაპზე გათამაშებიდან გამოთიშა ტურნირში პირველ ნომრად განთესილი ნიუკომბი, რომელმაც რამდენიმე ხნით ადრე უიმბლდონის მთავარი პრიზი მოიგო. შემდეგ კოდეშმა თანმიმდევრობით დაამარცხა: ბარტესი, სიველუენი, ლუტცი, ფროლინგი და ეში. მხოლოდ ფინალში წააგო პაექრობა განთქმულ სმიტთან (6:3, 3:6, 2:6, 6:7). შვეციის დარბაზში გამართულ ტურნირზე მან ლეივერსა და დრისდეილს სძლია. ფინალი კი დათმო არტურ ეშთან 5 პარტიაში. 1971 წელს „გრან-პრის“ ტურნირების შედეგების მიხედვით კოდეშმა მე-4 ადგილი დაიკავა, მსოფლიო კლასიფიკაციის ტაბელში მე-4-5 ადგილი გაიყო.

1972 წლის სეზონი კოდეშმა შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი მისი წარმატებისთვის. ნიცაში ჩატარებულ ტურნირში იგი კვლავ ამარცხებს სმიტს, მაგრამ ფინალში აგებს ნასტასესთან, რომელსაც შემდეგ რომში რევანშს ულებს ოთხ პარტიაში. პარიზში მეოთხედფინალში იგი შეხვდა ფრან პრუის. იძულებითი შესვენების შემდეგ კოდეშმა ვეღარ შესძლო მობილიზება და, შეიძლება ითქვას, საფრანგეთის ჩემპიონობის მესამედ მოპოვების შანსი დაკარგა. უიმბლდონში ნახევარფინალს მიაღწია, სადაც მას გზა გადაუღობა სმიტმა (3:6, 6:2, 6:3, 7:5), რომელმაც საბოლოდ მოიგო კიდეც ეს ტურნირი. კოდეშმა 1972 წელსაც „გრან-პრის“ კლასიფიკაციაში მე-4 ადგილი დაიკავა, ამაში მას დაეხმარა ბარსელონას ტურნირი, სადაც არც ერთი სეტი არ დაუთმია, დაამარცხა რა ზედიზედ: სპირა, ქოფრე, ფილოლი, ხიმენო, ნასტასე, ფინალში — ორანტესი (6:3, 6:2, 6:3).

1973 წელი იან კოდეშის სპორტული პიკის წელია. იგი უიმბლდონის პირველ პრიზს დაეუფლა. და შევიდა ტურნირის გამარჯვებულთა იმ სიაში, რომელიც დღემდე სარგებლობს განსაკუთრებული სტატუსით. კოდეშის წარმატებას არ ამცირებს ის, რომ ტურნირს ბოიკოტი გამოუცხადეს პროფესიონალთა ასოციაციაში გაერთიანებულმა სპორტსმენებმა (სეზონის ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღო დაახლოებით 70-მა ჩოგბურთელმა).

აი, რა თქვა ამის შესახებ თვით კოდეშმა: „ალბათ ბევრი ფიქრობდა, რომ 70 პროფესიონალის არყოფნა გავლენას მოახდენდა თამაშის ხარისხზე, მაგრამ იმ ჩოგბურთელებიდან, რომელმაც 1973 წელს დაიკავეს პირველი 15 ადგილი „გრან-პრი“-ში, უიმბლდონში არ ჩამოვიდა მხოლოდ სმიტი, ნიუკომბი და პანატა. ეს უკანასკნელი არც ისეთი სახიფათოა, ბალახის კორტებზე ნიუკომბი ფორმაში არ იყო. რჩება მხოლოდ სმიტი. ლეივერი საერთოდ არ აპირებდა უიმბლდონში ჩამოსვლას. იმ მოთამაშეებიდან, რომელთაც შეეძლოთ სერიოზული კონკურენციის გაწევა, არ იყვნენ მხოლოდ როზუოლი, ოკერი, როჩი და ალბათ რისი, მაგრამ მათ არყოფნას მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ შეჯიბრების საწყისი ეტაპისათვის. სხვა მხრივ ეს შეჯიბრება ისეთივე დაძაბული იყო, როგორც ყველა წინამორბედი“.

პირველ წრეში კოდეშმა დაამარცხა იაპონელი ხირაე (4:6, 6:4, 6:1, 6:3), შემდეგ იტალიელი მარლანო (6:0, 6:4, 6:3), სამხრეთაფრიკელი იულდა (6:1, 7:5, 6:2) და ინდოელი მუკერჯი (6:4, 3:6, 6:4, 6:3). დიდი ენერგია დახარჯა კოდეშმა მეოთხედფინალში ინდოეთის ჩემპიონის, 20 წლის ამრიტრაჯის წინააღმდეგ. ინდოეთის უძლიერესი ჩოგბურთელი იგებდა მეხუთე სეტს 5:4, მაგრამ კოდეშმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვა 7:5. მან კორტი დატოვა საკმაოდ დაღლილმა, თან ნატკენი ფეხით. კოდეშთან ნახევარფინალური შეხვედრისათვის ემზადებოდა ინგლისელი როჯერ ტეილორი, ცაცია, რომელიც ძლიერ მოწოდებას ფლობდა და კარგად თამაშობდა ბალახის კორტებზე (წინა წრეში მან დაამარცხა შემდგომში უიმბლდონის 5-გზის გამარჯვებული ბიორნ ბორგი). მიუხედავად ტრავმისა კოდეში მობილიზებული გამოვა სათამაშოდ. შეხვედრა დრამატიზმით არაფრით ჩამოუვარდებოდა საუკეთესო ფინალურ მატჩებს. კორტზე „დუღდა“ ბრწყინვალე საჩოგბურთო ბრძოლა, რომელმაც მაყურებელს დაავიწყა, რომ ტურნირში არ მონაწილეობდნენ პროფესიონალი ჩოგბურთელები. პირველი პარტიის ბედი გადაწყვიტა ტაი-ბრეიქის სერიამ, რომელშიც წარმატება ინგლისელ სპორტსმენს დარჩა (9:8). მეორე პარტიაში გაიმარჯვა კოდეშმა (9:7), მესამეში კოდეშს არ წაუვიდა მოწოდება და დათმო ხელი (5:7), ხოლო მეოთხე ჩეხმა სპორტსმენმა მოიგო (6:3). გადამწყვეტი პარტია ძალზედ დაძაბულად წარიმართა. ორივე ჩოგბურთელის თავგანწირული თამაში ხშირად აღაფრთოვანებდა მაყურებელს. მოწინააღმდეგეებმა მორიგეობით მოიგეს მოწოდებები. მაშინ, როცა ანგარიში 5:4 იყო ტეილორის სასარგებლოდ, თამაში შეწყვიტეს წვიმის გამო და აპირებდნენ მის გადატანას მეორე დღისთვის, მაგრამ საღამოს 8 საათზე გამოიდარა და ჩოგბურთელებმა გააგრძელეს პაექრობა, რომელიც 3 საათსა და 36 წუთს მიმდინარეობდა და დამთავრდა კოდეშის გამარჯვებით.

ამ ტურნირში ჩვენმა თანამემამულემ ალექსანდრე მეტრეველმა დაამარცხა ამერიკელი მეიერი (6:3, 3:6, 6:3, 6:4) და პირველად „არისტოკრატული“ უიმბლდონის ფინალში გავიდნენ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ კოდეშს ნაკლები შანსი ჰქონდა მოგებისა (თუმცა მან იმ სეზონში 2-ჯერ შეძლო მეტრეველის დამარცხება). ამის საფუძველს იძლეოდა მეტრეველის ძლიერი თამაში, რომელმაც ფინალის გზაზე ყველა მოწინააღმდეგე დამაჯერებლად დაამარცხა. ეს მატჩი გაგრძელდა 107 წუთს. კოდეში კარგად განეწყო თამაშისათვის და მოიგო იგი ანგარიშით 6:1, 9:8, 6:3.

„კრიტიკული, — იხსენებს კოდეში, — ჩემთვის მესამე სეტი იყო. ვიგებდი 4:1-ს და ამ დროს ვიგრძენი, როგორ ამიკანკალდა ხელები, გამიშრა ყელი, ბურთს ვერ ვიმორჩილებდი და ხშირად ვცდებოდი. მსგავსი რამ ვიგრძენი მეორე პარტიაშიც. მეგონა, რომ თუ ამ პარტიას მოვიგებდი, მაშინ მთელ თამაშს მოვიგებდი. სეტ-ბოლში კი თავს ვიზღვევდი შეცდომისაგან და მარტივად, ვაწვდიდი პირველ ბურთებს, თავს ვარწმუნებდი არჩევანის სისწორეში, თუმცა საკმაოდ ვრისკავდი. საკუთარ ძალაში რწმენას მმატებდა ის, რომ აქამდე ორჯერ მოგებული მქონდა საფრანგეთის ჩემპიონატი, ამასთან ერთად ვიცოდი, რომ მეტრეველი, რომელიც პირველად გახდა სანატრელი ფინალის მონაწილე, უდიდეს ნერვიულ დაძაბულობას განიცდიდა.

ინგლისის ამ საჩოგბურთო კლუბის ჰოლში გაკრულია დაფა, სადაც აღინუსხება ყველა გამარჯვებული სპორტსმენის ვინაობა. 1973 წლის გასწვრივ ამოტვიფრულია გამოჩენილი ჩეხი ჩოგბურთელის სახელი.

კოდეში გახლდათ უმაღლესი კლასის სპორტსმენი, რომელიც არ ჯერდებოდა მიღწეულს და სულ ახლის ძიებაში იყო. იგი მომავალი საჩოგბურთო თაობის ეტალონად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ მის მაგალითზე აღიზარდნენ გამოჩენილი ჩოგბურთელები ივან ლენდლი და მიროსლავ მეჩირი. კოდეში ინდივიდუალურ თუ გუნდურ შეჯიბრებებში ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით გამოდიოდა და უდიდეს პატივს სცემდა, როგორც თანაგუნდელებს, ისე ურიცხვ გულშემატკივარს.

მასალა მოამზადა
ალექსანდრე ჯიბლაძემ.

◆ ◆ ◆

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 27-ე ტირაჟების შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.249.612 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (21) მოგება 892 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (566)— 66, 11 შედეგის გამოცნობისთვის (18.539) — 7.

საქართველოში: დაშვებულია 65106 ვარიანტი. 13—1 (თბილისი), 12—37, 11—780.

27-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 28 ივლისიდან 28 აგვისტოს ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები ლ. სარალიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-24, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779